

„საქართველოს ბანკის თამაშის წესებსა და პირობებში“ შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. შეიცვალოს 9.3.2.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.3.2.1. ინდივიდუალურ მონაწილეს/გუნდის მონაწილეს შესაძლებლობა ექნება 1 (ერთი) დახმარების ფარგლებში აირჩიოს კითხვის გამოტოვება ან კითხვაზე მოცემული სავარაუდო პასუხების ჩამონათვალიდან გამორიცხოს 2 (ორი) არასწორი პასუხი. არასწორი პასუხების გამორიცხვა ხორციელდება შემთხვევითობის პრინციპით. კითხვის გამოტოვების არჩევის შემთხვევაში, მონაწილე გადავა შემდეგ კითხვაზე. ამ ფორმით კითხვის გამოტოვების შემთხვევაში ითვლება, რომ მონაწილემ სწორად გასცა კითხვას პასუხი.“

2. შეიცვალოს 9.3.2.2 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.3.2.2. არასწორი პასუხების გამოსარიცხად დახმარების გამოყენება შესაძლებელი იქნება მხოლოდ ერთხელ, ერთი კითხვის ფარგლებში.“

3. შეიცვალოს 9.3.2.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.3.2.3. შესაძლებელი იქნება 1 (ერთი) კითხვის ფარგლებში სწორი პასუხის გასაცემად გამოყენებულ იქნას ორივე ტიპის დახმარება: როგორც არასწორი პასუხების გამორიცხვა, ასევე კითხვის გამოტოვება, თუ კითხვაზე სწორი პასუხის გასაცემად არ განხორციელდა პირველივე დახმარებაზე კითხვის გამოტოვების შესაძლებლობის გამოყენება.“

4. შეიცვალოს 9.3.2.5 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.3.2.5. 1 (ერთი) დახმარების ფარგლებში კითხვაზე მოცემული სავარაუდო პასუხების ჩამონათვალიდან 2 (ორი) არასწორი პასუხის გამორიცხვა შესაძლებელი იქნება 40 (ორმოცი) მონეტის სანაცვლოდ.“